

## ორი უძველესი ხელნაწერის ბედი კულტურათა კვების გზაზე

ინგა კალაძე

„ხელნაწერები არ იწვიან.“  
მ. ბულგაკოვი

სწორედ იმ ხანებში, როდესაც ეს სიტყვები იწერებოდა, ანუ გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილ იქნა ორი უძველესი კულტურის კუთვნილი ლიტერატურის ფრაგმენტული ნიმუშები, რომელთა კვლევის ისტორია და მისი შედეგების ურთიერთგადამკვეთი მნიშვნელობა ზედმიწევნით ირგებს ზემოთ მოყვანილი ეპიგრაფის პარადოქსულ შინაარსს. ამ თითქმის დეტექტიური ისტორიის სათავესთან კი XI საუკუნის სპარსელი პოეტის – აბულ ყასიმ ჰასან უნსურის ბალხის (გარდ. 1040/1050) შემოქმედება აღმოჩნდა.

უნსურის – ლაზნელთა კარის „პოეტთა მეფის“ ტიტულის მფლობელს – წყაროთა მოწმობით, 30 000 სალექსო სტრიქონი (ბეითი) შეუთხზავს, – ერთი ლირიკული კრებული (დივანი) და სამი პოემა: „ვამეყი და აზრამ“, „თეთრი კერპი და წითელი კერპი“ და „შადბაჰრი და აინალჰაიათი“. ამ თხზულებათაგან ჩვენამდე მოაღწია მეტად დაზიანებულმა ლირიკულმა კრებულმა, ხოლო ეპიკური პოემებიდან, გარდა სათაურებისა და ცალკეული სტრიქონებისა, საუკუნეთა მანძილზე არაფერი იყო ცნობილი, მაგრამ ხსენებულ პოემათაგან ერთ-ერთმა, კერძოდ, „ვამეყი და აზრამ“ თავიდანვე მიიპყრო ორიენტალისტთა განსაკუთრებული ყურადღება. დაინტერესების მიზეზი გახდა არა მარტო დიდი პოპულარობა ამ სახელწოდების მქონე სიუჟეტებისა უნსურის შემდეგდროინდელ სპარსულ და თურქულ ლიტერატურებში, არამედ ამ პოემის ფრაგმენტების კვლევისთვის მეტ-ნაკლებად რეალური შესაძლებლობის არსებობაც: შუა საუკუნეების სპარსულ პოეტოლოგიურ ტრაქტატებსა და განმარტებით ლექსიკონებში<sup>1</sup>, რო-

1 [ჰორნი 1887; ასადი 1940, 1957, ნახჩევანი 1962; სორური 1959; შოური 1742; ბორჰანი 1951].

მელთაგან უადრესი უნსურის თითქმის თანამედროვეა<sup>2</sup>, ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისას საილუსტრაციო მასალად სხვა პოეტებთან ერთად უნსურის ციტატებიც ხშირად არის დამოწმებული, ოლონდ, წესისამებრ, ნაწარმოების სათაურის დაუსახელებლად. მაგრამ რადგანაც, სპარსული ლექსთწყობის კანონების თანახმად, ეპიკურ და ლირიკულ ლექსებს მკვეთრად განსხვავებული სალექსო ფორმა (გართმვის სქემა) აქვს, მათი გამიჯვნა ძნელი არ იყო. ამ გზით გამოყოფილი ეპიკური მემკვიდრეობის კუთვნილი სტრიქონები, თავის მხრივ, ორგვარ სალექსო ზომას აჩვენებდა: მოთაყარებსა და ხაფიფს. ამასთანავე, მოთაყარების ზომით შესრულებული ზოგი სტრიქონი ახსენებდა ერთ-ერთი პოემის გმირებს – ვამეყსა და აზრას. ამან მკვლევრებს მისცა გასაღები უნსურის ეპიკური მემკვიდრეობის ერთგვარი კლასიფიკაციისათვის: მოთაყარებით გაწყობილი ფრაგმენტები მიეკუთვნა პოემას „ვამეყი და აზრა“, ხოლო ხაფიფით შესრულებული სტრიქონები დანარჩენი ორი პოემისათვის საზიაროდ იქნა მიჩნეული, თუმცა ეს ვარაუდი ბოლომდე მართალი არ აღმოჩნდა: 60-იან წლებში გამოქვეყნდა XI-XII ს.-ის ერთი სპარსული პოეტოლოგური ტრაქტატი, სადაც საილუსტრაციო მასალად დასახელებულია უნსურის პოემა „თეთრი კერპი და წითელი კერპი“ და ციტირებულია მოთაყარების ზომით შესრულებული ორი სტრიქონი, რომელთაც ადრე „ვამეყი და აზრას“ მიაკუთვნებდნენ.<sup>3</sup> ამით სავსებით ცხადი გახდა, რომ უნსურის ეპიკური მემკვიდრეობიდან შემორჩენილი მოთაყარების ზომით გაწყობილი სტრიქონები საზიაროა ორი პოემისათვის – „ვამეყი და აზრა“ და „თეთრი კერპი და წითელი კერპი“. ასეთი სტრიქონების რიცხვი 143-ია.

სპარსული წყაროები ნაირგვარ და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხველ ცნობებს გვაწვდიან „ვამეყი და აზრას“ სიუჟეტის გენეზისის შესახებ. ერთი მათგანი ამ მიჯნურთა ამბის შეთხზვას მიაწერდა ხალიფა ალ-მამუნის (813-833) დროის გამორჩენილ მწიგნობარს საჰლ ბენ ჰარუნს, რომელიც ცნობილი იყო თავისი თარგმანებით ფალაური ენიდან, წყაროთა სხვა რიგი კი ხსენებულ ამბავს დაბეჯითებით უკავშირებდა ბერძნულ სამყაროს, კონკრეტულად – ალექსანდრე მაკედონელის დროს.

სიუჟეტის ისტორიის ყველაზე უფრო პოპულარული ვარიანტი მომდინარეობს XV ს. ცნობილი ლიტერატურის ისტორიკოსის და ულათშაჰის ანთოლოგიიდან „თეზქერათ აშშოარა“:

2 იგულისხმება ასადი ტუსელის განმარტებითი ლექსიკონი „ლულათ-ე ფურს“ (სპარსული ლექსიკონი) – XI ს.

3 რადუიანის *ქეთაბ-ე თარჯუმან ალ-ბალალათ* (მჭევრმეტყველების განმარტება) [რადუიანი 1960:56].

„ამბობენ, რომ აბასიანთა ნაცვალნი ხორასანში – ემირი აბდოლლაჰ ბენ თაჰერი – ნიშაბურში იჯდა. ერთხელ მას წიგნი მიართვეს საჩუქრად. მან იკითხა, თუ რა წიგნი იყო იგი. მიმტანმა მიუგო: ესაა საამური მოთხრობა ვამეყისა და აზრას შესახებ, რომელიც განსწავლულმა ხალხმა შეთხზა მეფე ანუშირვანისათვის. ემირმა ბრძანა: ჩვენ იმათგანნი ვართ, ვინც ყურანს კითხულობს და არ გვჭირდება არაფერი, გარდა გადმოცემისა წინასწარმეტყველის შესახებ. ჩვენ არ ვსაჭიროებთ ამის მსგავს წიგნებს, რადგან ისინი შედგენილია მოგვებისაგან და საძულველია ჩვენს თვალში. შემდეგ მან ბრძანა, რომ წიგნი წყალში ჩაეგდოთ და დაეწვათ სპარსთა და მოგვთა მიერ შედგენილი ყველა წიგნი, რომელთაც მის სამფლობელოში იპოვიდნენ. ამიტომაც სამანიანებამდე არ ითხზებოდა სპარსული პოეტური ნაწარმოებები. თუ ზოგჯერ კიდევ იწერებოდა ლექსები, მათ არ აგროვებდნენ“ [დაულათშაჰი 1901:30].

ამ ცნობიდან გამომდინარე, უნსურის „ვამეყი და აზრას“ სიუჟეტის წყაროდ მიჩნეულია მისი ფალაური ვერსია, რომელიც ხოსრო ანუშირვანის დროს (VI ს). შეუთხზავთ და თაჰერიანთა ეპოქაში (IX ს) ჯერ კიდევ პოპულარული იყო [ბრაუნი 1906:75].

უნსურის ეპიკური მემკვიდრეობა ადრევე დაკარგულა ან, ყოველ შემთხვევაში, გაუცხოებულა სპარსული ლიტერატურული წრეებისათვის. ამ ფონზე თვალში საცემია ვამეყისა და აზრას – როგორც მიჯნურთა წყვილის – სახელების მეტისმეტი პოპულარობა სპარსულ პოეზიაში. ისინი იდეალურ და მრავალტანჯულ მიჯნურთა სიმბოლურ სახეებად არიან ქცეულნი უკვე უნსურის თანამედროვე ეპოქაში. მათ იყენებენ პოეტები, რომელთა ლექსებში ვამეყისა და აზრას სახელები ცნობილ მიჯნურთა საზოგადო სახელებადაა გააზრებული (სხვა მიჯნურების: ვისისა და რამინის, ლეილისა და მაჯნუნის, ფარჰადისა და შირინის მსგავსად) და ეს აბსტრაქტული სახეები არ იძლევა რაიმე კონკრეტულს „ვამეყისა და აზრას“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების, ხასიათსა, პერსონაჟებსა თუ სიუჟეტურ დეტალზე მისანიშნებლად. ამდენად, ეს მასალა უნსურის სიუჟეტისა და მისი წყაროების კვლევას სამსახურს ვერ გაუწევს. იგი მხოლოდ ვამეყისა და აზრას, როგორც მიჯნურთა წყვილის, ადრინდელ პოპულარობაზე მეტყველებს. ამასვე ადასტურებს ის ფაქტი, რომ „ვამეყი და აზრას“ სახელწოდების მქონე პოემები შეუთხზავთ უნსურის უმცროს თანამედროვე პოეტებს – ფასიჰი ჯორჯანელსა და ამირ ფერხარის (XI ს.), რომელთა თხზულებები აგრეთვე დაკარგულია. XIV საუკუნის პოეტს ამადად-დინ ფაყიჰ ქერმანის თავის „მიჯნურთა წიგნი“ („მოჰაბათნამე“) საგანგებო თავი აქვს დათმობილი ვამეყისა და აზრას სიყვარულის დახასიათებისათვის [ამადად-დინ 1852, ხელნაწერი], მაგრამ რაიმე სიუჟეტური ნახაზი არც აქ იკვეთება.

ცნობათა ამგვარი სიჭრელის ვითარებაში უნსურის ეპიკური მემკვიდრეობით დაინტერესებულმა მეცნიერებამ ერთგვარი გამოსავლის პოვნა სცადა. ასეთ გამოსავლად მიჩნეულ იქნა XVI ს.-ის თურქი პოეტის ლამის კარგად შემონახული პოემა „ვამეყი და აზრა“, რომლის ტრადიციულ პროლოგში ავტორი თავისი პოემის წყაროდ თითქოს უნსურის ვერსიას ასახელებს<sup>4</sup>. „თითქოს“ იმიტომ, რომ თურქი პოეტის ეს განცხადება ორაზროვნებას არ არის მოკლებული და ნაირგვარი ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს. ამის მიუხედავად, ცნობილმა ორიენტალისტმა იოზეფ ჰამერმა ლამის თურქული ვერსია უნსურის პოემის ადეკვატურ თარგმანად გამოაცხადა, ხოლო პირველწყაროდ ფალაური თქმულება მიიჩნია [ჰამერი 1836-1838]. ეს თვალსაზრისი უკრიტიკოდ იქნა გამეორებული მრავალი ირანისტის მიერ, რის შედეგადაც მეცნიერებაში ხანგრძლივად დამკვიდრდა აზრი უნსურისა და ლამის ხსენებულ პოემათა სიუჟეტების იდენტურობის შესახებ. ასე ჩამოყალიბდა ამ სიუჟეტის გენეზისის სქემა: ფალაური ვერსია → უნსური → ლამი.

იდენტურობის იდეის გავრცელებას ხელი შეუწყო ცნობილი გერმანელი ორიენტალისტის პაულ ჰორნის მცდელობამაც, რომ ასადი ტუსელის განმარტებით ლექსიკონში უნსურის სახელით დამოწმებულ, თანაც მოთეყარების საზომის მქონე ბეითების შინაარსისთვის ლამის ვერსიის მონაცემები მიესადაგებინა და თითქოს ზოგიერთი დამთხვევაც აღმოაჩინა [ჰორნი 1897:51].

შიდილება ითქვას, რომ აქ მთავრდება უნსურის ეპიკური მემკვიდრეობის, ძირითადად, პოემა „ვამეყი და აზრას“ სიუჟეტის კვლევის პირველი ეტაპი, რომლის მონაპოვართა სისწორის შემოწმება შესაძლებელი გახდა გასული საუკუნის 20-30-იან წლებში განახლებული კვლევა-ძიების შედეგების შუქზე. ამ პერიოდში თითქმის ერთდროულად, თუმცა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, უნსურის ეპიკური მემკვიდრეობის ფრაგმენტებს ეძიებდა და იკვლევდა სამი ირანისტი: ბერტელსი, ჩაიკინი და თარბიათი. ბერტელსის მეცნიერული ინტერესის საგანი აღმოჩნდა უნსურის პოეზიის სტილისტიკური ანალიზი, რამაც მკვლევარი მიიყვანა საგულისხმო დასკვნამდე ორი განსხვავებული სტილის – ეპიკურისა და ლირიკულის – თანაარსებობის შესახებ პოეტის შემოქმედებაში [ბერტელსი 1929]. ჩაიკინმა და თარბიათმა კი პირველებმა გაამახვილეს ყურადღება უნსურის ეპიკურ სტრიქონებში ნახსენები საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ბერძნულ ფორ-

4 ლამის პოემების უნიკალური ხელნაწერი დაცულია ვენის სამეფო ბიბლიოთეკაში. ამ ხელნაწერის მიხედვით პოემების შინაარსი გადმოცემული აქვს ე. გიბს [გიბი 1904: Appendix III ].

მაზე და გამოთქვეს ვარაუდი „ვამეყი და აზრას“ სიუჟეტის შესაძლებელი ბერძნული წყაროს თაობაზე. თუმცა ამ დასკვნასთან სრულიად შეუთავსებელი ჩანდა თარბიათის მიერ ინერციით გამეორებული ტრადიციული თვალსაზრისი უნსურისა და ლამის სიუჟეტების იდენტიფიკაციის შესახებ [თარბიათი 1931] მაშინ, როდესაც ლამის პოემაში ბერძნული ელემენტების კვალიც კი არ ჩანს.

კვლევის ამ მეორე ეტაპზე ჩაიკინის მიერ გაკეთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ ლამის „ვამეყი და აზრას“ არაფერი აქვს საერთო უნსურის ამავე სახელწოდების პოემის სიუჟეტთან, რომელიც ბერძნული წყაროდან უნდა მომდინარეობდეს [ჩაიკინი 1935], იყო ჭეშმარიტად ნოვატორული აზრი, რაც არცთუ ერთგვაროვნად იქნა აღქმული ორიენტალისტთა წრეებში. ნიკო მარი, რომელიც ხელნაწერშივე გაეცნო ჩაიკინის სტატიას, აღტაცებით წერდა:

«Это прекрасная вещь! Позор, как этого не знают! Черт знает, что такое!» [ხაკანი 1966:31]

ცნობილი მეცნიერი კრიმსკი, როგორც მისი ერთი ნაშრომის გვიანდელი პუბლიკაციიდან ჩანს, აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ ჩაიკინი შეეცადა დაერღვია საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისი უნსურისა და ლამის პოემათა სიუჟეტების იგივეობის შესახებ:

«Автор статьи . . . голословно заявил, что такое общепринятое мнение основано (будто бы) лишь на ненадежном, дескать, библиографическом свидетельстве... Понятно, что исследования, производимые подобными приемами, не могут принести никакой пользы ...» [კრიმსკი 1981:82-84].

ისტორიამ განსაჯა, ვის მხარეზე იყო სიმართლე. იმავე 30-იან წლებში აღმოჩენილ იქნა უნსურის „ვამეყი და აზრას“ ვრცელი ფრაგმენტი, რომლის შესწავლამაც უცილობლად დაადასტურა ჩაიკინის ვარაუდის სისწორე (რაც კიდევ უნდა ყოფილიყო აღნიშნული კრიმსკის ხსენებული პუბლიკაციის კომენტარებში!).

ეს ტექსტოლოგიური აღმოჩენა, რომელიც პრობლემის კვლევის ისტორიის ახალ და უაღრესად მნიშვნელოვან მესამე ეტაპს წარმოადგენს, ეკუთვნის პაკისტანელ მეცნიერს მოჰამად შაფის. ტექსტი შემთხვევით იქნა აღმოჩენილი 1132 წელს გადაწერილი ყურანის კომენტარების ყდაში, სადაც იგი მუყაოს გასამაგრებლად იყო ჩაწებებული<sup>5</sup>.

5 მ. შაფის ახლად შეძენილი წიგნისათვის ყდის განახლება მოუსურვებია და ნაცნობი ხელოსნისთვის გაუგზავნია. მას კი წიგნის დაშლის შემდეგ მუყაოში თითქმის ფერფლად ქცეული ფურცლები შეუნიშნავს, მაგრამ, რაკი იცოდა თავისი კლიენტის ინტერესი ძველი ხელნაწერებისადმი, ყოველი შემთხვევისთვის, არ გადაუყრია ისინი და განახლებულ წიგნთან ერთად დაუბრუნებია მეცნიერისათვის.

იქიდან ამოღებულ 11 ფურცელზე აღმოჩნდა ეპიკური პოემის მეტნაკლებად შემონახული 372 სალექსო სტრიქონი, რომლებშიც იხსენიებოდა ვამეყისა და აზრას სახელები. ზოგიერთი სტრიქონი სავსებით დაემთხვა სხვადასხვა წყაროებიდან ადრევე ცნობილ უნსურის „ვამეყი და აზრას“ სტრიქონებს. სრულიად აშკარა იყო, რომ მეცნიერს ხელთ ჰქონდა ტექსტი საუკუნეების მანძილზე დაკარგულად მიჩნეული პოემისა, რომელიც ასეთ დავას იწვევდა სამეცნიერო წრეებში. 25 წელი მონადრომა შაფიმ ძალზე დაზიანებული ტექსტის ტექნიკურ რესტავრაციას, გაშიფვრასა და ანალიზს და 1954 წელს ამ აღმოჩენის შესახებ ოფიციალურად მოახსენა ორიენტალისტთა XXIII საერთაშორისო კონგრესს [შაფი 1954]. 1967 წელს, უკვე მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, ლაპორში გამოქვეყნდა წიგნი, რომელშიც შევიდა შაფის მიერ აღმოჩენილი ფრაგმენტის გაშიფრული ტექსტი, ხელნაწერის ფაქსიმილე და გამოკვლევა სპარსულ და ურდუ ენებზე [შაფი 1967].

შაფიმ ყურადღება მიაქცია XI საუკუნის სპარსელი ავტორის თარსუსის თხზულებას „დარაბნამე“, რომელშიც მოთხრობილია ალექსანდრე მაკედონელისა და მამამისის ისტორია [თარსუსი 1965]. ამ წიგნის ერთი ეპიზოდი, სადაც ბერძენი მონათვაჭრის ჰარნყალისის/მენყალუსის ტყვე ქალი აზრა თავის თავგადასავალს ჰყვება, ახლად აღმოჩენილი ფრაგმენტის შინაარსის გაგრძელებად წარმოჩნდა (საკუთარი სახელების, კოლიზიების დამთხვევა). თარსუსის „დარაბნამე“ არის ჯერჯერობით ცნობილი ერთადერთი სპარსული ნაწარმოები, რომელშიც აშკარად ვლინდება ნაცნობობა უნსურის „ვამეყისა და აზრას“ სიუჟეტთან.

მ. შაფის ტექსტის შინაარსი, ლექსიკონებიდან ცნობილი ბეითები და „დარაბნამეს“ ხსენებული ეპიზოდი საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან უნსურის „ვამეყი და აზრას“ სიუჟეტზე და უფლებას გვაძლევენ, უფრო მეტი კატეგორიულობით განვაცხადოთ, რომ იგი შორეულ მსგავსებასაც კი არ ამჟღავნებს ლამის ამავე სახელწოდების პოემასთან. ამ ორ თხზულებას აბსოლუტურად განსხვავებული აქვს პერსონაჟთა შემადგენლობა, საკუთარი სახელები, კვანძის მომენტი, მოქმედების განვითარება, კოლიზიები, გეოგრაფიული გარემო – და ისიც კი საეჭვოა, რომ ლამის როდესმე ენახოს უნსურის პოემა ან თუნდაც მისგან უშუალოდ მომდინარე რაიმე წყაროთი ესარგებლოს.

ლამის ვერსიის უნსურის პოემისაგან განსხვავების ფაქტი თავისთავად არც მოითხოვს რაიმე არგუმენტაციას. ეს ფაქტი თვით ლამის შემოქმედებითი მეთოდებიდან გამომდინარეობს. ამ მეთოდის შემოწმება, როგორც ე. ბერტელსმა შენიშნა [ბერტელსი 1960:315], ლამის „ვისი და რამინის“ მაგალითზედაც შეიძლებოდა. ამ ნაწარმოების მიხედვით

ლამი თავგადასავალთა დიდი მოყვარული ჩანს. იგი შეგნებულად არ-  
თულებს სიუჟეტს პერსონაჟთა და ინციდენტთა რიცხვის გამრავლე-  
ბის გზით. მისი მთავარი გმირები მხოლოდ სახელებით თუ მოგვაცო-  
ნებენ თავიანთ პროტოტიპებს გორგანის პოემიდან, თორემ ხასიათით  
ძალიან დაშორდნენ მათ. აქ მოხსნილია ფატალური, ყოვლისმძლე  
სიყვარულის ლაიტმოტივი და მისი მიზეზი (დედისაგან დაუბადებე-  
ლი ქალის საბედისწერო გათხოვება), მოშლილია ნათესაური სისტემა:  
ვისის საქმრო – გორგანის მეფე – და რამინი ძმები აღარ არიან და  
არც არაფერში უპირისპირდებიან ერთმანეთს. რამინი მაშინ შემოდის  
მოქმედების ასპარეზზე, როცა გორგანის მეფე ტოვებს ამ ასპარეზს.  
ამდენად, სპარსული რომანის ძირითადი კონფლიქტი – რამინის დაუ-  
ოკებელი ლტოლვა თავისივე ძმის კანონიერი ცოლისადმი – თავისთა-  
ვად მოხსნილია. ლამისთან კონფლიქტის მიზეზი (რამინის მამის შეშ-  
ფოთება შეყვარებული ვაჟის სულიერი მდგომარეობის გამო, რამინის  
ციხეში ჩაკეტვა და ვისის გაძევება), ისევე, როგორც ზოგიერთი სხვა  
დეტალიც (რამინისაგან გონიერების დაკარგვა, მამის მიერ მისი წაყ-  
ვანა განსაწმენდელად და სხვ.) ნიზამი განჯელის „ლეილი და მაჯნუ-  
ნის“ მოტივების გამოძახილი უფრო ჩანს. გორგანის პოემის ზოგიერთი  
დეტალი ლამისთან თუმცა დაცულია, მაგრამ იგი სხვა შინაარსით და  
დანიშნულებითაა გამოყენებული (შდრ. წერილების ეპიზოდი გორგა-  
ნისთან და ლამისთან). აქაც, ისევე როგორც „ვამეყი და აზრას“ შემთ-  
ხვევაში, სიუჟეტში ჩართულია სხვა სამიჯნურო წყვილის ისტორია.

ლამის პოემები, საზოგადოდ, სპარსული რომანული ეპოსის მთელი  
განვლილი პერიოდის მოტივების კონტამინირებულ სახედ მოჩანს. გა-  
მონაკლისს არც „ვამეყი და აზრა“ წარმოადგენს. იგი ტიპური ნიმუშია  
გვიანდელი შუა საუკუნეების სპარსული (და მისგან მომდინარე – თურ-  
ქული) რომანული ეპოსისა მისთვის დამახასიათებელი უფერული ინტ-  
რიგითა და სათავგადასავლო ავანტიურით მაშინ, როდესაც უნსურის  
პოემა ელინისტური რომანის მკვეთრად გამოხატულ იერს ატარებს.

პრობლემის შესწავლის შემდეგ, **მეოთხე ეტაპად** უნდა ჩაითვალოს  
ამ სტრიქონების ავტორის მიერ 70-იანი წლების დასასრულს ჩატარე-  
ბული კვლევა, რომლის შედეგებიც თავმოყრილია 1983 წელს გამოცე-  
მულ მონოგრაფიაში (ავტორის მიერ მოპოვებული ახალი ფრაგმენტე-  
ბი, უნსურის ეპიკური სტრიქონების კლასიფიკაცია ტექსტოლოგიური  
ვარიანტებით, რუსული თარგმანი ვრცელი კომენტარებით, გამოკვ-  
ლევა და სხვადასხვა წყაროს მიხედვით რეკონსტრუირებული სიუჟე-  
ტი) [კალაძე 1983].<sup>6</sup>

6 იხ. აგრეთვე იტალიური პუბლიკაცია [კალაძე 1984 (86)].

შაფის მიერ აღმოჩენილმა ფრაგმენტმა, „დარაბნამეს“ ეპიზოდმა და ადრევე ცნობილმა გაფანტულმა სტრიქონებმა მათში ნახსენები საკუთარი და გეოგრაფიული სახელების კომენტარებით, რომლებიც შუა საუკუნეების ლექსიკოგრაფებს ეკუთვნით, აგრეთვე ზოგიერთი პერსონაჟის შესახებ ჰეროდოტეს, სტრაბონის, თუკიდიდეს ცნობებმა, რომლებიც ემთხვევა უნსურის სიუჟეტის ეპიზოდებს (Herod. II 182; III 39-46, 54, 56, 57, 120-126, 128, 131, 132, 139, 140, 142; Strab. I 4,639; Thuc. I 13), საშუალება მოგვცა აღგვედგინა უნსურის დაკარგული პოემის სიუჟეტის უმეტესი ნაწილი, საიდანაც აშკარად გამოჩნდა, რომ მისი მოდელი ანტიკური რომანების იდენტურია და არაფერი აქვს საერთო ლამის „ვამეყი და აზრას“ სიუჟეტთან, არც მომდევნო პერიოდის მრავალრიცხოვან ვერსიებთან. განსხვავებულია პერსონაჟთა შემადგენლობა, გეოგრაფიული ფონი, კოლიზიები, მოქმედების განვითარება.

შაფის ტექსტოლოგიური აღმოჩენით თუმცა სავსებით დადასტურდა ჯერ კიდევ 30-იან წლებში კ. ჩაიკინის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა უნსურის „ვამეყისა და აზრას“ ბერძნულ ლიტერატურასთან კავშირის შესახებ, მაგრამ გასარკვევი რჩებოდა ამ კავშირის ხასიათი – პოემის სიუჟეტი მართლაც ცნობილი ანტიკური რომანების წაბადვით იყო შექმნილი და საკუთარი სახელები ბერძნულის მიხედვით სტილიზებული, როგორც ბერტელსს მიაჩნდა [ბერტელსი 1960: 315], თუ ხსენებულ კავშირს უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა?

უნსურის პოემის ჩვენ მიერ რეკონსტრუირებული სიუჟეტის ანალიზით გამოჩნდა, რომ ანტიკურ რომანთან მას აკავშირებს არა მარტო პირთა და გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მართლაც შეიძლებოდა სტილიზებული ყოფილიყო, არამედ ყველა ძირითადი სიუჟეტური კომპონენტის აშკარა თანხვედრა ანტიკური რომანის მყარ ტოპიკასთან: წყვილის პირველი შეხვედრა მათი სიყვარულის მფარველი ღვთაების ტაძართან, გრძნეული სიზმარი, ახალგაზრდების ნიშნობა და მისი დარღვევა, ახლობელთა წინააღმდეგობა მიჯნურთა სიყვარულის მიმართ, გმირთა სიყვარულის შემწე მეგობარი და მთავარ პერსონაჟთა ხიფათით აღსავსე თავგადასავალი – მოტაცება, ყიდვა-გაყიდვა, ყაჩაღთა და მონათვაჭართა მოქმედება, ძალადობა მთავარ გმირთა მიმართ, მათი ცდუნება და ზოგჯერ ერთ-ერთი მათგანის მიერ ერთგულების ფიცის იძულებითი დარღვევაც, ზღვებსა და კუნძულებზე ხეტიალი, დალუპვის მუდმივი საფრთხე, ცრუ სიკვდილის ცნობა და ა.შ.

თუმცა ჩვენს ხელთ არსებული მასალა არ შეიცავს უნსურის პოემის ფინალზე ზუსტ მითითებას, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სიუჟეტის ეს მნიშვნელოვანი კომპონენტიც ანტიკური



რომანის ტოპიკის სქემაში თავსდება, ანუ უნდა ვიგულისხმოთ, რომ თხრობას ბედნიერი დასასრული ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ყველა ნიშნის მიხედვით, მიჯნურებს მფარველობდა ქორწინების შემდეგ ღვთაება ჰერა, რომლის ტაძართანაც მოხდა ვამეყისა და აზრას პირველი შეხვედრა. ირანისტიკაში გამოთქმულია საპირისპირო მოსაზრებაც, რომელიც ეფუძნება ცნობილ არაბულ იდეას ე.წ. უზრაული (უმანკო) სიყვარულის შესახებ, თითქოს მთავარი გმირის – აზრას – სახელის ეტიმოლოგია (არაბ. უზიწო, ქალწული) იმის დასტური უნდა იყოს, რომ მიჯნურებს შეერთება არ ელირსათ [აფსახზოდი 1970:129]. უნდა შევნიშნოთ, რომ უზრაული სიუჟეტების (ლეილი და ყაისი, ლუბნა და ყაისი, ურვაჰი და აფრა და სხვა) პოეტიკა – უაღრესად სტატიკური და სენტიმენტალური – რადიკალურად განსხვავდება უნსურის პოემის დინამიკური, მძაფრი სიუჟეტის პოეტიკისგან. ავტორს, რომელიც ასე ერთგულად მისდევს ანტიკური რომანის სქემას და მთელ მის ტოპიკას, არავითარი მოტივაცია არ ჰქონდა სწორედ ფინალის შეცვლისთვის. სხვაგვარად მთელი ეს უაღრესად დახლართული თავგადასავალი ჰაერში დარჩებოდა გამოკიდებული. არც ეპოქის მაჟორულ-ოპტიმისტური ტენდენცია უზიძგებდა მას ამგვარი ნოვაციისკენ. მხედველობაში გვაქვს უნსურის თანამედროვე აიუყის პოემა „ვარყა და გოლშაჰი“, სადაც პირველწყაროს – არაბული ლეგენდის – სიუჟეტში, რომელსაც ზემოთხსენებულ იცავს აიუყი, სწორედ ტრაგიკული ფინალია შეცვლილი მიჯნურთა ბედნიერი შეერთებით [აიუყი 1964].

საგულისხმოა უნსურის პოემის პროტოტიპის ისტორიული ფონი, რის გამოც ეს სიუჟეტი გვერდში უდგას ანტიკური რომანის ადრეული პერიოდის ე.წ. ისტორიულ სიუჟეტებს, რომლებიც დღეს სულ ორი ნაწარმოებითაა ცნობილი. ესენია ასირიელი მეფის ნინისა და სემირამიდას შესახებ რომანის ფრაგმენტები და ქარიტონის რომანი „ქერეასი და კალიროე“<sup>7</sup>. უნსურის პოემის ფრაგმენტებსა და ლექსიკოგრაფთა კომენტარებშიც წარმოდგენილია ისტორიული პერსონაჟები: კუნძულ შამოსის მეფე ფოლიყრათი, იუპიტერის ძის აქუსის ჩამომავალი, და მისი ძმა სელისუნი, რომლებშიც ადვილად იცნობა კუნძულ სამოსის ცნობილი ტირანი პოლიკრატესი და მისი ძმა სილოსონტი, აიაქსის ძენი, რომელთა შესახებაც ვრცლად მოგვითხრობენ ჰეროდოტე და სტრაბონი. კუნძულ შამოსზე მდებარე ტაძარი, სადაც პირველად შეხვედნენ ახალგაზრდები, შაფის სამართლიანი შენიშვნით, უნდა იყოს კუნძულ სამოსის ცნობილი ჰერას ტაძარი. შემთხვევითი არ არის, რომ ანტიკურ სამყაროში სამოსი ამ ღვთაების (რომელიც ქორწინებისა და ოჯახის მფარველია) წმინდა კუნძულად ითვლება (Xen. Eph I 11).

7 ისტორიზმის შესახებ ანტიკურ რომანში იხ. გოლსტი 1954:168.

არანაკლებ საინტერესოა გეოგრაფიული ფონი პოემისა, სადაც მოქმედების ძირითადი ასპარეზი, ისევე როგორც ანტიკურ რომანებში, კუნძულებია: შამოსი (<სამოსი), ქეიუსი (<ხიოსი), ქერუნისი (<ხერსონესი), ზიფუნუნი (<სიფნოსი). ყველა ნიშნის მიხედვით, აქ სახეზეა ე. წ. „კუნძულთა მოტივი“, რომელიც, ა. ეგუნოვის შენიშვნით, ბერძნებისგან იღებს სათავეს და ახალევროპულ ლიტერატურამდე აღწევს [ეგუნოვი 1932:41].

უნსურის პოემაში არეკლილია ანტიკური რომანის არა მხოლოდ დინამიკა, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, არამედ სტატიკაც: რიტორიკის ელემენტები, განსჯანი და დისკუსიები, რეტარდაციები ჩანართი ეპიზოდების სახით (მითებისა და ლეგენდების თხრობა). ამ მხრივ, უაღრესად საინტერესოა სიტყვის ხელოვნებაში ვამეყის გამოცდის ეპიზოდი. მისთვის მიცემული გამოცანა – „ვინ არის ის, ვინც დაიბადა შენთან ერთად, მაგრამ ცოდნით უფროსია შენზე?“ – აღსავსეა სიტყვათა თამაშის სოფისტური სულისკვეთებით და ძალიან უახლოვდება ათენეოსის „სოფისტთა ნადიმის“ გამოცანებს (Athen. Deip.). ვამეყისა და აზრას დისკუსია სიყვარულის სიმბოლოს გამოსახულების შესახებ სოკრატესეული დიალოგის ტექნიკითაა შესრულებული. დისკუსიაში ბოლო სიტყვა და, შესაბამისად, გამარჯვება რჩება აზრას, რომელიც, ვამეყისაგან განსხვავებით, ამტკიცებს, რომ სიყვარულის სახება მარად ახალგაზრდა უნდა რჩებოდეს, რადგან სიყვარული მხოლოდ ახალგაზრდების თვისებაა. ეს თვალსაზრისი აქსიომად ითვლება ანტიკურ სამყაროში (Long. II 7). ვამეყის მიერ აღწერილ სიყვარულის სიმბოლოში (ლამაზი ყმაწვილი, მებრძოლი და მამაცი, ცალ ხელში ცეცხლით და მეორეში – მშვილდ-ისრით) აშკარად იგულისხმება ეროსი, რომელიც მუდმივი განსჯის საგანია ანტიკურ რომანებსა და ფილოსოფიურ ლიტერატურაში (Long.; Ach. Tat; Hld. Aeth.; Plot. III Enn., 3). უეჭველია, რომ უნსურის პერსონაჟთა ეს მსჯელობანი სიყვარულის სიმბოლოს შესახებ ბერძნული პირველწყაროდან იღებს სათავეს.

უნსურის პოემის წყაროს სხვა სოფისტური ელემენტებისაგან განსაკუთრებით საგულისხმოა ლეგენდების ჩართვა ძირითად სიუჟეტში, რაც დამახასიათებელია ჟანრის ისტორიის მოგვიანო ხანისთვის, ე. წ. მეორე სოფისტიკის პერიოდისთვის (აქილევს ტატიოსი, ლონგე)<sup>8</sup>. პოემის ფრაგმენტებში ასახულია სამი ლეგენდა, რომელთაგან ერთი – ჰერმესის მიერ კუს ბაკნისაგან ბარბითის შექმნა – თითქმის მთლიანადაა შემორჩენილი. იგი ემთხვევა ჰომეროსის ჰიმნებში გადმოცემულ ლეგენდას ჰერმესის შესახებ, რომელმაც იმავე მასალისაგან შექმნა ლირა (Homer, III). ანალოგიურია აქილევს ტატიოსის (Ach.VIII 6) და

8 ჟანრის პერიოდიზაციის შესახებ იხ. შმიდი 1940.

ლონგეს (Long. II 34) მიერ მოთხრობილი ლეგენდები სირინქსის/ფლეიტის გამოგონების შესახებ. უნსურის პოემის გაფანტულ სტრიქონებში შეინიშნება კიდევ ორი ლეგენდის კვალი. ესენია ლეგენდები ჰერასა და ლეანდროსის სიყვარულისა და მინოსის შესახებ. ასადი ტუსელის კომენტარიდან ჩანს, რომ პოემაში ლეგენდა ჰერასა და ლეანდროსზე სრულად ყოფილა წარმოდგენილი, რადგან მის სიუჟეტს ზედმიწევნით იმეორებს ლექსიკოგრაფი.

ასეთი ანალიზი გვარწმუნებს, რომ უნსურის პოემა შექმნილია რომელიღაც ბერძნული ნიმუშის არა მხოლოდ მიბაძვით [შდრ. ბერტელსი 1960:315], არამედ იგი საკმაოდ ზუსტად მისდევს თავის პირველწყაროს. ეს დასკვნა, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს, რომ უნსურის პოემა მოკლებულია ეროვნულ კოლორიტს. პოემის მნატვრული სისტემა მთლიანად სპარსული პოეზიის ტრადიციებზეა დაფუძნებული. ბერძნულ ღვთაებებთან თანაარსებობენ მახდებური და მაჰმადიანიური რეალიები (აჰრიმანი, ჰარუთი). უნსურის „ვამეყი და აზრას“, როგორც ლიტერატურული მოვლენა, სავსებით შეესაბამება თავისი ეპოქის სულისკვეთებას, რომელიც გამოირჩევა ინდივიდის პირადი ცხოვრებისადმი ინტერესის გაცხოველებით.

უნსურის „ვამეყი და აზრას“ მოზრდილი ფრაგმენტის აღმოჩენისა და ტექსტის რეკონსტრუქციის ფონზე მეტად საგულისხმო აღმოჩნდა პოლ ჰორნის ზემოთ დასახელებული მოსაზრების შემოწმება უნსურისა და ლამის პოემების ზოგიერთი პასაჟის იდენტურობის შესახებ. მეცნიერის მიერ განხილული ათი ეპიზოდიდან შვიდი უნდა გამოირიცხოს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათი კუთვნილება უნსურის განსახილველი პოემისადმი ვერაფრით დასტურდება მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მოთეყარები უნსურის კიდევ ერთი პოემის საზომია. გარდა ამისა, ისინი ასახავენ სიუჟეტთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელ საერთო დეტალებს (ბრძოლა, ძარცვა, პერსონაჟთა გოდება, ღვინის ხოტბა) და არაფრის დამტკიცება არ შეუძლიათ. „ვამეყი და აზრას“ მხოლოდ ის სტრიქონები შეიძლება მივაკუთვნოთ, რომლებიც ან შაფის მიერ აღმოჩენილ ტექსტში დასტურდება, ანდა შეიცავენ საკუთარ სახელებს, რომელთაც ლექსიკოგრაფები ამ პოემას უკავშირებენ. ხსენებული ათი სტრიქონიდან სამი მართლაც აღმოჩნდა შაფის ფრაგმენტებში, მაგრამ არც ერთი მათგანის შინაარსი არ დაემთხვა ჰორნის მიერ ლამის პოემაში მოძიებულ პარალელს. პირველ მათგანს („აზრას დაიძაბა, ვით მამაცი მეომარი, მაგრად მოზიდა ცხენის სადავე“) [კალაძე, 1983:135] პ. ჰორნი უკავშირებდა ლამის პოემის ორ ეპიზოდს, რომლებშიც აზრას დევს მიაჭენებს. აღმოჩნდა, რომ ამ ფანტასტიკურ ეპიზოდს არაფერი აქვს საერთო აზრას ცხენ-

ნით ჯირითთან, რაც უნსურის პოემაში სავსებით რეალურ საფუძველს ემყარება. როგორც შაფის მიერ აღმოჩენილი ფრაგმენტის გაბმული ტექსტიდან ჩანს, ქალიშვილს მამის სურვილით ბავშვობიდანვე წვრთნიდნენ საბრძოლო-სარაინდო ხელოვნებაში. ამიტომაც ბრძოლის დროს იგი მამის ლაშქარს მიუძღოდა წინ, მშვიდობიან დღეებში კი სარბიელზე ხალხს აჩვენებდა თავის ხელოვნებას. მეორე ბეითთან დაკავშირებით („ერთ თვეში იმ ნერგმა ისეთ სიმაღლეს მიაღწია, როგორსაც სხვა ხეებმა – ერთ წელიწადში“) [კალაძე 1983: იქვე] პ. ჰორნმა გამოთქვა ვარაუდი, რომ აქ შესაძლებელია საუბარი იყოს ერთი წლის აზრას შესახებ, თუმცა ლამის პოემაში კონკრეტული ანალოგია არ მიუთითებია. სინამდვილეში კი ამ ბეითში, რომელიც შაფის ფრაგმენტშიც არის, საუბარია აზრას უჩვეულო თვისებებზე, რომელთაც ბავშვი ჯერ კიდევ ერთი თვის ასაკში ავლენდა. გმირი ქალის რჩეულობისა და იშვიათობის თემა გაშლილია იქვე მომდევნო კიდევ ხუთ ბეითში [კალაძე 1983:106]. უფრო ზუსტ დამთხვევას პ. ჰორნი ხედავდა *მესამე* შემთხვევაში. სიტყვას *آه* *ჰეიქალ* (ტაძარი) მეცნიერი უკავშირებდა ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარს ჰინდუსთანში, სადაც ბედმა გადაადგო ლამის პოემის გმირები და სადაც მათ დაწვას უპირებდნენ. უნსურის პოემაში აღწერილი დიდებული ტაძარი კი მდებარეობს ბერძნულ კუნძულ სამოსზე და, ყველა ნიშნის მიხედვით, ის არის ჰერას ცნობილი ტაძარი, რომლის წინაც ხდება ვამეყისა და აზრას პირველი შეხვედრა. (იხ. ზევით).

ხსენებული ტექსტოლოგიური აღმოჩენის ფონზე გადასინჯვას მოითხოვს ქართული ლიტერატურის ისტორიაში გამოთქმული ზოგიერთი თვალსაზრისი უნსურის ეპიკური მემკვიდრეობის ძველ ქართულ მწერლობაში ასახვის შესახებ.

კლასიკური ხანის ქართული მწერლობის სამი ძეგლი: „თამარიანი“, „აბდულმესიანი“ და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“ იცნობს უნსურის ორი პოემის სამი პერსონაჟის სახელებს. ესენია: შატბიერი, ანალათი, ვამეყი. „თამარიანში“ ვკითხულობთ:

„ოსანოს რეტი არს შენამჭვრეტი, გმო თავის ბედი, თმო ნატანჯე-ვად...“

უგავს შატბიერს, გულად ლაყბიერს, ანალათისა რად დაშვრა ძეგად“ [ლოლაშვილი 1957: 195].

ნიკო მარი ცდილობდა, ამ ორ უკანასკნელ სახელში (შატბიერი და ალათი/ანალათი) ამოეკითხა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა – ავთანდილისა და თინათინის სახელები [ნ. მარი 1902; ი. მარი 1917:429], მაგრამ ამ ეტიმოლოგიურ ძიებებს წარმატება არ ჰქონია. პირველად იური

მარმა დაუკავშირა ეს სახელები უნსურის პოემას [მარი 1939:132-133; მარი 1935; *მისივე* არქივი]. კვლევა განაგრძო კორნელი კეკელიძემ და დაასაბუთა, რომ აქ იგულისხმება პოემა „შადბაჰრი და აინალჰა-იათის“ სამიჯნურო წყვილი, რომელიც ნახსენებია აგრეთვე თამარის ისტორიკოსის თხზულებაში. „ისტორიათა და აზმათა“ მის მიერვე გამართულ ტექსტში მკვლევარმა სავსებით სამართლიანად აღადგინა შადბავარისა და აინლიეთის სახელები იმ ადგილას, სადაც ჩამოთვლილნი არიან ლიტერატურულ თხზულებათა ცნობილი მიჯნურები.

„თამარის საქმრო ისეთივე იდეალური მიჯნური უნდა ყოფილიყო, როგორებიც იყვნენ: თაჰამთან თუმინისათვის, ამირან ხორაშნისათვის, ხოსრო-შანშა შირინისათვის და ა.შ. მეთორმეტე წყვილად აქ დასახელებულნი ყოფილან სწორედ ჩვენი გმირები: „ვითარ შადბავარ აინლიეთისათვის“ [კეკელიძე 1962: 227-234].

„აბდულმესიანის“ 32-ე სტროფში ნათქვამია:

„გხმობ ვამეყ-ვისსა, ართუ მეყვისსა, როს იავარ-ყო იამან ქვეყნით,  
აღმოფხვრა სული – ძე და ასული: რაც უყო, თქმევად ვის ზალ-უც  
ენით?“

[ლოლაშვილი 1964: 127].

არსებობს ამ სტროფის ორგვარი გაგება – კ. კეკელიძის [კეკელიძე 1962: 227-234] და ი. ლოლაშვილისა [ლოლაშვილი 1964: 83-84], მაგრამ მათთვის საერთოა დასკვნა იმის შესახებ, რომ აქ ნახსენები *ვამეყი* არის უნსურის დაკარგული პოემის „ვამეყი და აზრას“ გმირი, რომელსაც უმოწყალოდ გაუნადგურებია *იამანის* ქვეყანა. კ. კეკელიძე ამის თაობაზე შენიშნავს:

„თუ მხედველობაში გვექნება ონსორის რომანების უდიდესი პოპულარობა – მეორედ – ადრიდანვე პოპულარობა ჩვენში „ვამეყ“ სახელისა და მესამედ – „შადბერ-აინლიეთის“ მოხსენიება ორ სხვადასხვა თხზულებაში, საკითხი ონსორის ქართულად თარგმნის შესახებ შეიძლება დადებითად გადაწყდეს, და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს რომანები აღმოსავლურ ლიტერატურაში ადრე გამქრალა, ქართული მწერლობის ცნობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება“ [კეკელიძე 1958: 293]. „დაკარგული „ვამეყ და აზრას“ შინაარსის გასათვალისწინებლად ამ ციტატას ნაკლები მნიშვნელობა არ ექნება, ვიდრე იმ ცნობებს, რომელთაც სპეციალისტები სხვადასხვა კუპიურებში ეძებენ და პოულობენ“ [კეკელიძე 1962:235].

უნსურის „ვამეყი და აზრას“ ანარეკლს ხედავდა კ. კეკელიძე „ვეფხისტყაოსანშიც“. თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ 1958 წლის გამოცემაში მკვლევარს შეუტანია წინა გამოცემებისაგან განს-

ხვავებული მასალა, კერძოდ – ცნობები იმ ქართულ თუ უცხოურ თხზულებათა შესახებ, რომელთა ნაცნობობასაც ამჟღავნებს „ვეფხისტყაოსანი“ სიუჟეტურ-კომპოზიციური დეტალების თვალსაზრისით. გორგანის „ვისი და რამინის“, ნიზამის „ლეილი და მაჯუნის“, ფირდოუსის „შაჰნამეს“ გვერდით აქ დასახელებულია უნსურის თხზულება „ვამეყი და აზრა“. აი, რას წერს მკვლევარი:

„მეოთხე სპარსული სამიჯნურო რომანი, რომლის სიუჟეტური სქემა, რამდენადაც იმის შესახებ მსჯელობა შეგვიძლია XVI საუკუნის თურქთა პოეტის ლამის თარგმანის მიხედვით (ხაზი ჩვენია. – ი.კ.), ძალიან წააგავს „ვეფხისტყაოსნისას“; არის ონსორის „ვამეყ და აზრა“: ა) აქაც შეყვარებულთა ორი მთავარი წყვილია: ვამეყ-აზრა და ბეჰმენ-დელფეზირი; ძირითად მოთხრობაში აქაც შექსოვილია მესამე მეფის – ლაჰიჯანის ეპიზოდი, როგორც ჩვენს პოემაში – ფრიდონისა. ბ) ვამეყი და ბეჰმენი აქაც ძმობილები არიან, ძუძუს-მტენი, ბეჰმენი იმნაირადვე ეხმარება ვამეყს აზრას მოძებნაში, როგორც ავთანდილი ტარიელს. გ) მათი დამხმარეა აგრეთვე აზრას ძიძა-გამზრდელი, რომელიც ისე აერთებს შეყვარებულებს, როგორც ასმათი ტარიელ-ნესტანს, და რომელიც იმდენსავე გასაჭირს იტანს იმათთვის, როგორც ასმათი. დ) ვამეყი და ბეჰმენი აუტანელ, პირდაპირ წარმოუდგენელ დაბრკოლებებსა და გასაჭირს ხვდებიან აზრას ძებნისას როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე; ამ ხეტიალის დროს გმირის ვაჭრულად გამოწყობას აქაც ადგილი აქვს, როგორც ჩვენს პოემაში. ე) მიჯნურთა თავგადასავალი აქაც კეთილად დასრულდება. შეუღლებიან როგორც ვამეყი და აზრა, ისე ბეჰმენი და დელფეზირი“ [კეკელიძე 1958:138].

ჩვენი მხრივ დავუმატებდით კიდევ ორ წყვილს, რომელთაც აგრეთვე იქორწინეს ლამის პოემის ფინალში: ჰელჰილანი და ჰუმა; ექიმი ფირი და აზრას ძიძა.

აქ წარმოდგენილი მსჯელობა უნსურის „ვამეყი და აზრასა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური პარალელების თაობაზე ლამის პოემის შინაარსის მოშველიებით, ცხადია, ემყარება იმ გაუგებრობას, რომელიც ხანგრძლივად არსებობდა ირანისტიკაში და რომლის უნიადაგობაც საბოლოოდ ნათელყო პოემის ვრცელი ფრაგმენტის აღმოჩენამ და მისმა გამოკვლევამ. ფრაგმენტის ანალიზი საეჭვოს ხდის აგრეთვე მტკიცებას იმის შესახებ, რომ „აბდულმესიანში“ ნახსენები ვამეყი უნსურის პოემის პერსონაჟი იყოს. ამ ეჭვს ბადებს უნსურის თხზულების ტოპონიმიკა, რომელიც, როგორც დავინახეთ, მთლიანად ბერძნულ გარემოში ტრიალებს და იამანისათვის იქ ადგილი არ უნდა რჩებოდეს. ამასთანავე, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ „ვამეყი და აზრას“ გვიანდელი (XV-XVII სს) ვერსიების უმრავლესობაში დაჟინებით იხსე-

ნიება იემენი მთავარ ტოპონიმად. ეს ვერსიები დიდ სიუჟეტურ ნაირგვარობას იჩენენ, არსებითად განსხვავდებიან უნსურისეულისაგან და ხშირად – ერთმანეთისგანაც. მაგრამ ყველა მათგანს საერთო აქვს ის, რომ მათი ტოპონიმოლოგია და ანთროპონიმოლოგია, ისევე როგორც ზოგადი მოდელი რომანისა, აღმოსავლური ტიპისაა. ერთადერთი თხზულება ჯერჯერობით ხელმისაწვდომ ვერსიათა შორის, რომელშიც მეტად ყრუდ, მაგრამ მაინც გაისმა უნსურის პოემის გამოძახილი, არის XVII ს-ის პოეტის შეიბ ჯუშყანის „ვამეყი და აზრას“, რომლის ერთ-ერთი პერსონაჟი იმეორებს უნსურის პოემის პერსონაჟის ბერძნულ სახელს. ესაა სახელი *ფალათუს* (فلاطوس), მაგრამ იმ განსხვავებით, რომ უნსურისთან ეს სახელი აზრას მასწავლებელს ჰქვია, ჯუშყანისთან კი – ვამეყის მამას. უნსურისთან ნაცნობობის სხვა კვალი ამ გვიანდელ ვერსიებში არ ჩანს. უნსურის პოემა საკმაოდ ადრე ჩანს დაკარგული და ამის მიზეზი, ირანელი მეცნიერების – თრბიათის, შაფისა და ხანლარის ვარაუდით, უნდა ყოფილიყო სწორედ ის უცხო სახელები (პირთა და გეოგრაფიულ ადგილთა), რაც ხელს უშლიდა მის ათვისებას და გავრცელებას [თარბიათი 1931; შაფი 1967; ხანლარი 1972].

„აბდულმესიანის“ ზემოთ ციტირებული სტროფი გვაფიქრებინებს, რომ უკვე უნსურის მახლობელ პერიოდში, ყოველ შემთხვევაში XII ს-მდე ადრე, ბერძნულიდან მომდინარე ამ ვერსიის გარდა არსებობდა ვამეყისა და აზრას სამიჯნურო თავგადასავლის შემცველი სიუჟეტი ან სიუჟეტები, რომელთა აღმოსავლური ონომასტიკა უფრო ახლობელი იყო მკითხველისათვის და მომდევნო დროის პოეტებიც მათ უფრო ხალისით ამუშავებდნენ, მიუხედავად უნსურის დიდი პოეტური ავტორიტეტისა. სავარაუდოა, რომ ქართულ მწერლობაში აისახა სწორედ ეს მეორე, უნსურის ბერძნული ვერსიისაგან განსხვავებული, აღმოსავლური მოდელის მქონე სიუჟეტი, რომლის ერთ-ერთი ტოპონიმი იყო *იემენი*.

თუ ჩვენი ეს ვარაუდი ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის, მაშინ ძველი ქართული მწერლობის ამ, ერთი შეხედვით, მწირ მონაცემს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება „ვამეყი და აზრას“ აღმოსავლური ვერსიების კვლევის საქმეში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქართული მწერლობის ცნობა სწორედ იმ პერიოდის გამოძახილია, საიდანაც „ვამეყი და აზრას“ ვერსიები ჩვენამდე მოღწეული არ არის. მხოლოდ ლიტერატურული და ისტორიული წყაროებიდან ვიცით მათი არსებობის ფაქტი ხსენებულ ხანაში. მეორე და მთავარი ღირსება ამ ცნობისა ის არის, რომ „აბდულმესიანში“ დამოწმებული *იამანი* ერთგვარ შემაერთებელ რგოლად მოჩანს „ვამეყი და აზრას“ ძველსა და ახალ ვერსიებს შორის და გვაფიქრებინებს, რომ ეს უკანასკნელნი უნსურის

პოემის გაყალბებას, ფალსიფიკაციას (جعلي جعلي) კი არ წარმოადგენენ, როგორც ხშირად მიაჩნიათ [მაჰჯუბი 1968], არამედ – „ვამეყი და აზრას“ უძველესი სიუჟეტური ციკლის ბუნებრივ განვითარებას. ქართველი მეხოტბის მიერ ფიქსირებული ტოპონიმი იამანი, როგორც აღინიშნა, უშუალოდ ეხმაურება „ვამეყი და აზრას“ გვიანდელ მრავალრიცხოვან ვერსიებს, რომელთაც, უნსურის ბერძნულ-ელენისტური სიუჟეტებისაგან განსხვავებით, ტრადიციული სპარსული რომანის მოდელი აქვთ. ჩვენი ვარაუდით, ასეთივე მოდელი უნდა ჰქონოდა „ვამეყი და აზრას“ იმ სიუჟეტს, რომელიც პოპულარული იყო ჯერ კიდევ უნსურის წინა პერიოდში.

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა უნსურის სიუჟეტის მიმართების შესახებ წინამორბედ ვერსიებთან. როგორც უკვე ითქვა, უნსურის წინა პერიოდში ცნობილია ანუშირვანის სახელზე (ე. ი. VI ს-ში) შექმნილი ვერსია, რომელიც IX ს-შიც არსებობდა და თაჰერმა გაანადგურა. გარდა ამისა, საპლ ბენ ჰარუნის სახელთან დაკავშირებულია იგივე სათაური, დამოწმებული იბნ ნადიმის „ფეჰრესთში“, და ბოლოს – უნსურის თანამედროვე ბირუნის თხზულებათა სიაში შეტანილი სამივე სახელწოდება იმ პოემებისა, რომლებიც უნსურისაც დაუმუშავებია.

როგორც წესი, მკვლევრები ვარაუდობენ უნსურის სიუჟეტის კავშირს ფალაურ ვერსიასთან – პირდაპირს ან სირიულ-არაბული გზით გაშუალებულს. შესაბამისად, გამოდის, რომ ის პოპულარული და საყვარელი მოთხრობა, რომელზედაც დაულათშაჰი მოგვიტხრობს, იმავე სიუჟეტის მქონე უნდა ყოფილიყო, როგორც ახლა უკვე ცნობილია ჩვენთვის შაფის მიერ აღმოჩენილი ფრაგმენტებიდან, ე. ი. ბერძნული რომანი თავისი ონომასტიკონით. მეორე მხრივ, გვიანდელი ვერსიები, რომელთა რიცხვიც ძალზე დიდია, არ ამჟღავნებენ მსგავსებას უნსურის სიუჟეტთან. ამიტომ უწოდებს მათ მაჰჯუბი ყალბსა და ფალსიფიცირებულს, ანუ ისეთს, რომელიც არ ჰგავს ნამდვილ „ვამეყი და აზრას“. ე. ი. – უნსურის ვერსიას [მაჰჯუბი 1968].

მაგრამ საკითხავია, რის მიმართ ვთვლით ფალსიფიკაციას, ანუ საიდან ვიწყებთ ათვლას? არის კი უნსურის ვერსია ნამდვილი „ვამეყი და აზრა“, ანუ ის „საამური მოთხრობა“, რომელიც ბრძენმა ხალხმა შეთხზა მეფე ანუშირვანისათვის? ვამეყისა და აზრას, როგორც მიჯნურთა წყვილის, სახელების დიდი პოპულარობა არის უნსურის პოემის გამოძახილი თუ პირიქით – მიზეზი ამ პოემის აღმოცენებისა? ე. ი. ხომ არ მოხდა ისე, რომ უნსურიმ თვითონ „მოარგო“ ბერძნულ სიუჟეტს მის დროს უკვე პოპულარული გამირების სახელები? აქ გვახსენდება ანალოგიური შემთხვევა, სწორედ უნსურის თანამედროვე და თანამოქალაქე პოეტის სახელთან დაკავშირებული. მხედველობაში გვყავს



აიუყი, რომელმაც ზედმიწევნითი სიზუსტით გალექსა ცნობილი არაბული თქმულება მიჯნური ქალ-ვაჟის – აფრასა და ურვაჰის შესახებ, შეცვალა მათი სახელები და თავის პოემას „ვარყა და გოლშაჰი“ უწოდა, რითაც დასაბამი მისცა ამ თემის მრავალრიცხოვან ვერსიებს მომდევნო ხანის სპარსულ და თურქულ ლიტერატურებში. თვით „ვამეყი და აზრას“ გვიანდელი ვერსიების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ეს თემა მეტად მოძრავი სიუჟეტის მქონეა. ისინი, როგორც ითქვა, არა მარტო უნსურის ვერსიისაგან განსხვავდებიან, არამედ – ხშირ შემთხვევაში – ერთმანეთისგანაც, თუმცა ზოგი ავტორი, მაგალითად, ლამი, სრულიად უპასუხისმგებლოდ ასახელებს თავისი სიუჟეტის წინამორბედად უნსურის, რაც, ჩვენი აზრით, მხოლოდ უნსურის დიდი პოეტური ავტორიტეტით უნდა იყოს ნაკარნახევი. უფრო მეტიც, „ვამეყი და აზრას“ ზოგი გვიანდელი ვერსია დუბლირებულ სახელწოდებას ატარებს. მაგ.: მოლა ნავი ხაბუშანის (XVII ს) ერთ პოემას ეწოდება „ვამეყი და აზრა“ და აგრეთვე – „სუზ ო გოდაზ“ („წვა და დაგვა“). ასე რომ, ჩვენი ვარაუდი იმის შესახებ, რომ უნსურიმ მის დროს ცნობილი გმირების სახელები სულ სხვა სიუჟეტს შეუფარდა, თეორიულად და ისტორიულადაც გამორიცხული არ უნდა იყოს.

ტრადიციულ თვალსაზრისში ჩვენი დაეჭვება გარკვეული ფაქტებისა და ცნობების შეპირისპირებამაც გამოიწვია. ეს თვალსაზრისი – აპრიორული ვარაუდი უნსურისა და ფალაური ვერსიების კავშირის შესახებ – ბოლოს და ბოლოს მხოლოდ დაულათშაჰის (XV ს.) ცნობაზეა დაფუძნებული. ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, არ შეიძლება გულისხმობდეს უნსურის სიუჟეტს. უპირველეს ყოვლისა, ანგარიშგასაწევია ის, რომ ანუშირვანის დროს შექმნილ ნაწარმოებს შეუძლებელია რქმეოდა „ვამეყი და აზრა“ – საშუალო ხანის სპარსული მწერლობა არ იცნობს წიგნის სათაურის არაბულად გაფორმების შემთხვევებს. ეს ტრადიცია ისლამური ირანის ლიტერატურამ დაამკვიდრა. გარდა ამისა, დაულათშაჰის ცნობაში ხაზი აქვს გასმული თაჰერის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „ვამეყი და აზრა“ მოგვთა (مغان) მოლან შეთხზულია და ამიტომ ყურანის მკითხველი საზოგადოებისათვის – მკრეხელური. ჩვენი ვარაუდით, ხსენებულ წიგნს ასე მკვეთრად გამოხატული ბერძნული სიუჟეტი რომ ჰქონოდა და, რაც მთავარია, ეს სცოდნოდა დაულათშაჰს, მაშინ იგი თავისი თხრობის პერსონაჟს სხვა მიზეზს მოაძებნინებდა წიგნის გასანადგურებლად და ყურანს არ დაუპირისპირებდა კონკრეტულ ზოროასტრულ ცნებას – მოგვობას. დაულათშაჰის გადმოცემა თავისთავად ვარაუდობს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ძველ სპარსულ სიუჟეტზე და არა ბერძნულზე, მით უმეტეს ისეთზე, რომელსაც თავისი უცხოური წარმოშობა ისე გამჭვირვალედ

აქვს შენარჩუნებული, როგორც უნსურის სიუჟეტს.

ყურადღებას იქცევს უნსურის ტექსტის ერთი დეტალი: მამა რომ თავისი ქალიშვილის უებრობაში დარწმუნდა, სახელად აზრა (أزرا – არაბ. ქალწული, უბიწო) უწოდა. აშკარა შეუსაბამობაა და მინიშნება იმაზე, რომ ავტორი ცდილობს მზა სახელი მოარგოს სიუჟეტსა და სიტუაციას.

ბერძნული ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკის ასე უხვად შემცველი სიუჟეტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სპარსელი მკითხველისათვის ისეთი ახლობელი და პოპულარული, როგორსაც მას დაულათშაჰი ახასიათებს და ამ პოპულარობას ოთხი საუკუნისთვის გაეძლო (ანუ შირვანის ეპოქიდან უნსურის ხანამდე). ეს სიუჟეტი უფრო წიგნური გზით ჩანს გადმოღებული და გავრცელებულიც, ვიდრე – ზეპირით. აქ საგულისხმოა ის ვარიაციები, რომელთაც ვხვდებით საკუთარი სახელების დაწერილობაში სხვადასხვა ლექსიკონთა ავტორებთან, მაგ: ქერუთის – ქერუთის (كروئیس || كروئیس), მელზიტოს – მექზითოს (مکذیتس || مکذیتس), მაჯინუს – მახნუს (مجنوس || مخنوس) და სხვ. ყველა ეს ვარიაცია არაბული ანბანის გრაფიკული თავისებურებით აიხსნება. ამბავი რომ ზეპირად ყოფილიყო გავრცელებული, ვარიანტები ფონეტიკური ხასიათისა იქნებოდა და არა – გრაფიკული. ცნობილი და პოპულარული სიუჟეტების საკუთარი სახელები, ჩვეულებრივ, არც იძლევა ხოლმე ვარიანტებს.

ჩნდება ასეთი ეჭვიც: არის კი სანდო ისტორიკოსთა და ლექსიკოგრაფთა ყველა ის ცნობა, რაც ვამეყისა და აზრას სახელს უკავშირდება? მაგალითად, XVII ს-ის ცნობილ განმარტებით ლექსიკონში „ბორჰანე ყათა“ სიტყვის افراجه (აფრანჯე) განმარტებისას ნათქვამია, რომ ეს არის ქალაქი, რომელიც ანუშირვანმა ააგო მისრეთის ზღვის ნაპირას. ამ ქალაქიდან იყო აზრას დედა. თუ აქ „თარიხე გოზიდეს“ ცნობასაც გავიხსენებთ, რომელიც გვაუწყებს, რომ ვამეყი და აზრა მაკედონელის დროს ცხოვრობდნენ, შეუსაბამობა ნათელი გახდება: აზრას დედა ვერ იცხოვრებდა ქალაქში, რომელიც 10 საუკუნის შემდეგ ააგეს.

გამორიცხვულად არ მიგვაჩნია, რომ უნსურის თვითონვე გადაემუშავებინა ბერძნული სიუჟეტი უშუალოდ ბერძნული ან თარგმნილი წყაროდან. საგულისხმოა, რომ ბერძნული თემა და სამყარო გამოსჭვივის უნსურის კიდევ ერთ პოემაში. ხაფიფის ზომით გაწყობილ ბეითში (იხ. ასადის ლექსიკონი, სიტყვა بیهوشی ბიუჰანი – ქორწილი), რომელიც, როგორც უკვე ვიცით, „შადბაჰრი და აინოლჰაიათიდან“ არის ამოღებული, აგრეთვე იხსენებიან ბერძნები და მათი ჩვეულებანი: „მაშინ გამართეს ქორწილი ბერძნული წესისა და რიგის მიხედვით“.

ბეითის შინაარსი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ პოემის (ან მისი ეპიზოდის) მოქმედება აგრეთვე საბერძნეთშია გაშლილი. გამორიცხული არ არის, რომ ეს გრეკოფილური ინტერესები უნსურის აღძვროდა ქალაქ ნისიბინში ყოფნისას, სადაც პოეტს თითქოს გაუტარებია თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი, როგორც მოგვითხრობს XVII ს-ის ისტორიკოსი ქაშეფი თავის თხზულებაში „ხაზან ო ბაჰარ“ („შემოდგომა და გაზაფხული) [ჩაიკინი 1935: 49-50], თუმცა ისტორიკოსის ეს ცნობა არ არის უკრიტიკოდ გაზიარებული [ბერტელსი 1960:307].

უნსურის დანარჩენი ორი პოემის შესახებ არავითარი ხელშესახები მასალა ჯერჯერობით არ გავაჩნია, თუ არ ჩავთვლით ლექსიკოგრაფების მიერ დამოწმებულ 69 ბეითს [უნსური 1963], ხაფიფის ზომით შესრულებულს, რომლებიც, როგორც გაირკვა, ეკუთვნიან პოემას „შადბაჰრი და აინალჰაათი“. ამ პოემებს იცნობს და ახსენებს ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრიანის“ სპარსული ვერსია „ისქანდერნამე“, დამუშავებული XIII ს-ში. [ისქანდერნამე 1964:288-289,426,430,431]<sup>9</sup>.

უნსურის ეპიკურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების მთელი რიგი ჯერ კიდევ სადისკუსიო მდგომარეობაში რჩება (მათ ნაწილს შეიძლება შუქი მოჰფინოს „ვამეყი და აზრას“ გვიანდელი სპარსული და თურქული ვერსიების კვლევამ). მაგრამ ამ ეტაპზე უდავოა ერთი რამ: უნსურის „ვამეყი და აზრა“ (სათაურების მიხედვით, რომლებიც წყვილთა სახელებია, აპრიორი შეიძლება ვივარაუდოთ – მისი დანარჩენი ორი პოემაც) არის უადრესი ნიმუში სპარსული რომანული ეპოსისა. „ვამეყი და აზრას“ შესრულების სტილი – ენისა და პოეტური ფიგურების სისადავე და ლაკონიურობა – კლასიკური სპარსული ლირიკის ადრეული პერიოდის საუკეთესო ნიმუშებს ეხმაურება, ტროპული სახეები თავისუფალია მოგვიანო ხანისათვის დამახასიათებელი ხელოვნურობისა და თვითმიზნური სირთულისაგან, ლექსიკა მაქსიმალურად იზოლირებულია არაბიზმებისაგან, რაც რომანული ეპოსის ადრეული ხანის უანრული ნიშანია. ამით უნსურის „ვამეყი და აზრა“ უკვე ქმნის სპარსული რომანული ეპოსის საწყისი ეტაპისათვის ნიშანდობლივ კოლორიტს, რასაც ორგანულად ავსებს მისი უახლოესი თანამედროვეების – აიუყისა და გორგანის შემოქმედება.

ზემოთ განხილული საკითხების მონოგრაფიული შესწავლის შედეგად თავის დროზე ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ 1) უნსურის პოემა „ვამეყი და აზრა“, რომელიც ასახავს ანტიკური ე. წ. ეროტული/სოფისტური რომანის არა მხოლოდ ფაბულას, არამედ გაშლილ სიუჟეტსაც, იმეორებს ასეთი რომანებისთვის დამახასიათებელ ტიპურ ტოპიკას, თუმცა მთლიანად არ ემთხვევა არც ერთ ჩვენამდე მოღ-

9 დაწვრილებით ამ საკითხების შესახებ იხ. კალაძე 1983:47-53.

წეულ რომანს. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ პოემა ბერძნული თემის მხოლოდ რემინისცენციას კი არ წარმოადგენს, არამედ უკავშირდება რომელიღაც კონკრეტულ მასალას, რითაც ამდიდრებს ჩვენამდე მოღწეული ანტიკური რომანების სიუჟეტთა მწირ რიცხვს. 2) უნსურის პოემის სავარაუდო პირველწყარო წარმოგვიდგენია, როგორც ანტიკურ ლიტერატურაში არშემონახული ტიპის სიუჟეტი, რომელშიც ჯერ კიდევ ცოცხალია ჟანრის ძველი ნიმუშებისათვის ნიშანდობლივი ისტორიული სტილიზაციის ინერცია და ამავე დროს უკვე დასახულია სოფისტიკის გაძლიერების ტენდენცია. ჟანრის ევოლუციის ისტორიაში ასეთ სიუჟეტს უნდა სჭეროდა შუალედური ადგილი ქარიტონსა და აქილეს ტატიოსს შორის [კალაძე 1983: 39].

ისტორიამ ინება, რომ აქ არ დასრულებულიყო პრობლემის კვლევის ასეთი ზიგზაგებით სავსე ისტორია. მას აგრძელებს ერთი დაკარგული, მაგრამ წყაროებში ხშირად ხსენებული ანტიკური რომანის – „მეტიოქოსი და პართენოპეს“ ახალი პაპირუსული ფრაგმენტების აღმოჩენა და კვლევა. ამ რომანის სიუჟეტი მეტად პოპულარული ყოფილა ანტიკურ სამყაროში. ლუკიანეს ცნობით, პართენოპეს თავგადასავალი პანტომიმური სპექტაკლების საყვარელ თემას წარმოადგენდა. იგივე თემა ასახულია ხელოვნების ნიმუშებში: ანტიოქიაში გათხრილი ერთი კედელი შემკულია ნინისა და სემირამიდას და მეტიოქოსისა და პართენოპეს სიყვარულის მოტივებზე შესრულებული მოზაიკით. ნაპოვნი და გაშიფრულია აგრეთვე თიხის ფირფიტა, რომელზეც იკითხება სიყვარულის სენით შეპყრობილი მეტიოქოსის სიტყვები. ანტიოქიის მახლობლად აღმოჩენილი რომაული სასახლის იატაკი დაფარულია მოზაიკით, რომელზედაც გამოსახულია თეატრალურ პოზაში მდგარი ახალგაზრდა წყვილი. ქალ-ვაჟს ხელებზე მათი სახელები – პართენოპე და მეტეოქოსი აწერიათ [ჰავი 1984:77]. რაც შეეხება თვით რომანის ტექსტს, XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლომდე ცნობილი იყო სხვადასხვა დროს აღმოჩენილი მისი სამი მცირე პაპირუსული ფრაგმენტი [ციმერმანი 1933:53-61; ციმერმანი 1935:194-205; კუზნეცოვა 1969:127-129]. 70-იანი წლების ბოლოს დასავლეთ ბერლინის ეგვიპტურ მუზეუმში აღმოჩენილ იქნა პაპირუსის ტექსტი, რომელშიც მეტიოქოსისა და პართენოპეს რომანის ახალი მოზრდილი ფრაგმენტი წარმოდგენილი [მელერი 1976:1-20; მელერი 1977:242; პავლენკო 1985]. ეს ფრაგმენტი მნიშვნელოვნად ავსებს ამ რომანის მანამდე ცნობილ მწირ ტექსტს. ამასთანავე, მეტიოქოსის ოჯახის ისტორიას ვრცლად მოგვითხრობს ჰეროდოტე (Herod.VI 39-41).

ამ ფაქტოლოგიურმა მასალამ მეცნიერებას საშუალება მისცა აღედგინა დაკარგული ანტიკური რომანის სიუჟეტის მოზრდილი ნაწილი და, რაც ჩვენთვის საგანგებოდ საგულისხმოა, იგი აღმოჩნდა უნსურის „ვამეყი და აზრას“ დიდი ხნის მანძილზე საძიებელი პირველწყარო.<sup>10</sup>

ჩვენი კვლევის შედეგებისა და ახალი ტექსტოლოგიური მასალის გათვალისწინებით პრობლემის კვლევა განაგრძეს სკანდინავიელმა მეცნიერებმა – ნორვეგიელმა ელინისტმა თომას ჰაგმა და შვედმა ირანისტმა ბო უტასმა [ჰაგი 1984; ჰაგი 1985; ჰაგი 1986; უტასი 1984-86]. მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უნსურის „ვამეყი და აზრასა“ და უცნობი ბერძენი ავტორის რომანის „მეტიოქოსისა და პართენოპეს“ რეკონსტრუირებული ტექსტების დასაწყისი ერთმანეთს ემთხვევა და მომდევნო ფრაგმენტებშიც თხრობა პარალელურად ვითარდება. ორივეგან მონაწილეობენ ისტორიული პერსონაჟები: პოლიკრატე (აზრას/პართენოპეს მამა), მილტიადესი (Miltiades) – ხერსონესის მეფე, რომლის უფროსი ვაჟია მეტიოქოსი (შდრ. მელზიტოსი – ვამეყის მამა). ბერძნული და სპარსული რომანების ფრაგმენტულ ტექსტებში მეტიოქოსისა და ვამეყის ბიოგრაფიული ცნობები ერთმანეთს ემთხვევა. ორივენი ავი დედინაცვლებისაგან იტანჯებიან, ჩუმად იპარებიან მამისეული სახლიდან და კუნძულ სამოსზე მეფე პოლიკრატეს კარს მიაშურებენ. მეფე კეთილად მიიღებს მათ თავის სასახლეში, ლხინს გაუმართავს, რომელზედაც ახალგაზრდა ვაჟებს გამოცდას უწყობენ. ლტოლვილი ვაჟები სწორედ აქ დაუახლოვდებიან თავიანთ მომავალ სატრფოებს – პართენოპას/აზრას. ჰეროდოტეს მიერ მოთხრობილი ამბავი მეტიოქოსის ოჯახის შესახებ ემთხვევა უნსურის ფრაგმენტების მიხედვით აღდგენილ ვამეყის ისტორიას. საყურადღებოა ბერძნულ რომანში შემორჩენილი ფრაგმენტი, რომელშიც მეტიოქოსი ვილაცის პასუხად ვრცლად მსჯელობს ეროსის/სიყვარულის რაობაზე. დიდია ალბათობა იმისა, რომ სწორედ ამ ეპიზოდით იყოს შთაგონებული უნსურის პოემაში მეფე ფოლიყრათის სასახლეში გამართულ ლხინზე ვამეყის გამოცდის მიზნით ზემოთ განხილული დისკუსია ეროსის თემაზე.

ბერძნული და სპარსული რომანების სიუჟეტების რეკონსტრუქცია და მათი კვლევის კულტუროლოგიური შედეგები თითო მნიშვნელოვან ძეგლს მატებს შესაბამის ლიტერატურებს. ეს გარემოება

10 1971 წ. ახალგაზრდა ირანისტმა ვ. სახრანოვმა გონებამახვილურად ივარაუდა კავშირი ამ ორ ნაწარმოებს შორის. მისი ჰიპოთეზა ემყარებოდა მთავარ გმირ ქალთა სახელების ეტიმოლოგიურ მსგავსებას: *პართენოპე* ბერძნულად, ისევე როგორც *აზრა* არაბულად, ნიშნავს ქალწულს, უბიწოს [სახრანოვი 1971]. ამ მართულებით კვლევა მაშინ ავტორს არ გაუგრძელებია, რადგანაც ტექსტოლოგიური ბაზა ამის საშუალებას არ იძლეოდა.

განსაკუთრებით ფასეულია ბერძნული მწერლობის ისტორიისათვის, რომელშიც ამ ჟანრის სულ ხუთი ნაწარმოების სიუჟეტი იყო აქამდე ცნობილი. უნსურის პოემის წყაროს დაზუსტებამ გააფართოვა ჩვენი თვალსაზრისი ისტორიული ირანისა და ბერძნული სამყაროს კულტურული კონტაქტების შესახებ და დაასაბუთა ასეთი კონტაქტების არსებობა არა მხოლოდ მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში, როგორც ადრე იყო ცნობილი, არამედ აგრეთვე ლიტერატურის სფეროშიც.

კვლევის ამ მესხეთე (იმედია, არა უკანასკნელ) სტადიაზე ემპირულად დადასტურდა ჩვენ მიერ მიღებული ანალიტიკური დასკვნა<sup>11</sup> უნსურის პოემის კონკრეტული ბერძნული წყაროს არსებობისა და ანტიკური რომანის ისტორიაში ამ პოემის პროტოტიპის ქრონოლოგიური ადგილის შესახებ. ბერძნული რომანის ახალი ფრაგმენტების ენის, სტილისა და ჟანრული ტოპიკის ანალიზის შედეგად ჰ. მელერიც ასკვნის, რომ ესაა ისტორიული რომანი, რომელიც ახლოს დგას ქარიტონის დროსთან. (შდრ. ზემოთ დასახელებული ჩვენი კვლევის დასკვნები [კალაძე 1983:39]).

ასე აღმოჩნდა კიდევ ერთხელ გადაჯაჭვული აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურული მემკვიდრეობები, რომლებიც ავსებენ და ამდიდრებენ ერთმანეთს. სკანდინავიელი მეცნიერების ღრმა რწმენით, აუცილებელია კვლევის გაგრძელება ბერძნული ლიტერატურის აღმოსავლური კონტაქტების დარგში.

აქ უნებლიეთ გვახსენდება გოტფრიდ გროდეკის ერთი მეთოდური შეგონება:

„აღმოსავლეთით აიხსნება საბერძნეთი, საბერძნეთით – აღმოსავლეთი. ისინი იშვნენ, დაიზარდნენ და დაიხოცნენ ერთად. გაჩხრიკეთ ყველა ნანგრევი, შეადარეთ ყველაფერი, რასაც იპოვით. აქ ისეთი საგანძურია, რომელიც კვლავაც უცნობია დღევანდელი გონისთვის.“

ზემოთ წარმოდგენილი მასალა იმის დასტურია, რომ ამ თვალსაზრისს, რომელიც ასზე მეტი წლის წინ არის გამოთქმული, დღესაც არ დაუკარგავს სიმახვილე და აქტუალურობა.

11 მონოგრაფიაზე მუშაობისას ინფორმაცია იმხანად აღმოჩენილი პაპირუსული ტექსტის შესახებ ჩვენთვის, სამწუხაროდ, ცნობილი არ იყო.

კლასიკოსი ავტორები:

**Ach. Tat.:** Achilles Tatius, Leucippus et Clitophonus.

**Athen.:** Athenaeus, Dipnosophistarum.

**Hld.:** Heliodorus, Aethiopica .

**Herod.:** Herodotus, Historiae.

**Homer.:** Homerus, Hymni.

**Long.:** Longinus, Daphnis et chloe.

**Plot.:** Plotinus, Aenneades.

**Strab.:** Strabo, Geographia.

**Thuc.:** Thucydides, Historia.

**Xen. Eph.:** Xenophon Ephesius, Anthia et Habrocomes.

### დამოწმებანი

- აიუყი 1964: 1343, تهران، ورقع و گلشاه عیوقی، باهتمام دكتر ذبیح الله صفا، تهران، 1964.
- ამადად-დინ 1852: کلیات عماد , B. Dorn, Catalogue des Manuscrits et Xylographes Orientaires de la Bibliotheque Imperiale Publicue de St.-Peterbourg, St.-Peterbourg, 1852, #407.
- ასადი 1940: كتاب لغات فرس تالیف ابو منصور علی بن احمد اسدی با ملحقاتی چند بتصحیح 1319 و اهتمام عباس اقبال طهران 1319
- ასადი 1957: لغت فرس منسوب به اسدی طوسی باحواشی و تعلیقات و فهارس بکوشش محمد دبیر سیاقی تهران 1336
- ავსახზოდი 1970 : A. Афсахзод, «Киссаи Вомик ва Узро», Садои шарк, 1970, №10.
